ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3233398

ნომერი: AR1498823

თარიღი : 26.04.2017

გაცემის თარიღი : 15.05.2017

გაცნობის თარიღი : 15.05.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დადიანის, ჩოდრიშვილის, და ალილუევას ქუჩებს შორის, (ნაკვ.89/003) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან კალმახელიძე პ/ნ 20001004247
- ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #51, 1 კვ. კორპ. #10

ორგანიზაცია:

- შპს "ველაჯიო" კოდი: 204469413

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 26 აპრილის N AR1498823 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2012 წლის 10 თებერვლის N 46528 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ საპროექტო ობიექტის ფუნქციად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაფიქსირებას. პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დადიანის, ჩოდრიშვილის და ალილუევას ქუჩებს შორის (ნაკვ89/003) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.12.089.003) მცირე ტევადობის თხევადი გაზის რეზერვუარის (დროებითი სტატუსის) აშენების მიზნით 2012 წლის 10 თებერვლის N 46528 გადაწყვეტილებით დაამტკიცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, შემდეგ 2016 წლის 01 დეკემბრის N2974631 ბრძანებით ცვლილება განხორციელდა ზემოხსენებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა მრავალფუნქციური კომპლექსი (საოფისე, საცხოვრებელი). 2012 წლის 10 თებერვლის N46528 გადაწყვეტილება ძალაშია გაცემის თარიღიდან ხუთი წლის განმავლობაში. ვინაიდან 2012 წლის 10 თებერვლის N46528 გადაწყვეტილების საფუძველზე არ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, ადმინისტრაციული აქტი ძალადაკარგულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი 2017 წლის 26 აპრილის N AR1498823 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.